შპს „სილქ მედიას“ 2024 წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს „სილქ მედიას“, როგორც მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირის 2024 წლის ანგარიშს:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე შპს „სილქ მედიას“ დირექტორის ბრძანებით შპს „სილქ მედიაში“ დამტკიცებულია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის დებულება;

2. 2024 წლის განმავლობაში კომპანიაში არ შემოსულა საჩივარი შპს „სილქ მედიას“ მიერ „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევის თაობაზე;

3. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების მხრიდან არ მომხდარა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა;

4. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- "Engage Caucasus"- Armenia, Training for Leadership and Strategic Thinking. Empowering Georgians and Armenians
- ქალთა უსაფრთხოება და ქალთა საკითხების გაშუქება მედიაში. ორგანიზატორები: ჟურნალისტური რესურს-ცენტრი და მერსი ქორფსი საქართველო. თარიღი: 17-19 მაისი, 2024 წ. ადგილი: სასტუმრო სევსამორა
- NDI საზოგადოების აზრის კვლევების ანატომია - ტრენინგი მედიის წარმომადგენლებისთვის. 30-31 მარტი;
- EU SAFE პროექტი “ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანისუსაფრთხოების უზურნველსაყოფად” - მედია სემინარი: საგანგებო და კრიზისული სიტუაციების გაშუქება.
- სამხრეთ კავკასიის რეგიონული წყლის მართვის პროგრამა: საზოგადოების ჩართულობის მხარდაჭერა წყლის რესურსების მდგრადი მართვისა და წყალმოხმარების გაუმჯობესების მიზნით.
- კანონის უზენაესობის ტრენინიგ - დისკრიმინაცია და თანასწორობა.
- მარგარეტ ტეტჩერის ცენტრი - the storytelling workshop.
- “Establishing Journalism Grants and Awards to Encourage High Standards of Reporting in Georgia”; ესტონეთი, მაისი-ივნისი, ესტონეთის საერთაშორისო განვითარების ცენტრის ორგანიზებით.

5 კომპანია ტელემაუწყებლობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

6. კომპანიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლის, სს „სილქნეტის“ მიერ საწესდებო კაპიტალის შევსება და ასევე შემოსავლები რეკლამიდან და სპონსორობიდან.

ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა, მომზადებული „KPMG Georgia LLC”-ის მიერ.